**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 136**

(გამარტივებული შესყიდვა)

“ 20 ”აგვისტო 2019 წ. ქ. ფოთი

ერთის მხრივ,

**შემსყიდველი - ს.ს.ი.პ„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ ს/კ 215082764.**

**მისამართი:** ქ. ფოთი დ. თავდადებულის ქუჩა N 93.

**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი: TRESGE22 ა/ა: 707247519.

**დირექტორი**: რევაზ ბაბილუა შემდგომში „შემსყიდველი“.

და მეორეს მხრივ,

**მიმწოდებელი - შ.პ.ს. ”VEVE” ს/კ 415083420.**

**მისამართი:** ქ.ფოთი, ფარნავაზ მეფის ქ. N3.

**საბანკო რეკვიზიტი:** სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22; GE19BG0000000274477100.

**ხელმძღვანელი:** დირექტორი ლაშა კილასონიას სახით შემდგომში ”მიმწოდებელს” შორის დადებულ იქნა ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ”ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” (შემდგომში - ”ხელშეკრულება”)- შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ”ხელშეკრულების ღირებულება” - საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3 ”შემსყიდველი” - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 ”მიმწოდებელი” - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შემსყიდველს შეუკეთოს 2 ცალი პერსონალური კომპიუტერი:

| | **CPV კოდი** | **შესყიდვის ობიექტი** | **საერთო ფასი** |
|---|---|---|---|
| 1 | **2** | **3** | **4** |
| 1 | 50320000 | პერსონალური კომპიუტერი (ინვ N 333/3)<br>(1 ცალი ქულერის შეცვლა) | 20-00 |
| 2 | 50320000 | პერსონალური კომპიუტერი (ინვ N 400)<br>(1 ცალი - ქულერის გამოცვლა) | 20-00 |
| | **სულ:** | | **40-00** |

## 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 40.00 (ორმოცი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 4 მომსახურების მოწოდების ვადები

4.1 შესყიდული მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშფაქტურის ან/და სასაქონლო ზედდებულის და მიღება–ჩაბარების აქტი შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში ლარში მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

## 6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება–ჩაბარების აქტის ორმხრივად ხელმოწერის შემდეგ.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

დროულად მიაწოდოს ხარისხიანი მომსახურება შემსყიდველს.

## 8 მხარეების პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით - ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 % (ორ) პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. სხვა პირობები

9.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

9.2 ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

9.3.ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან, ერთი ინახება "შემსყიდველთან", ხოლო მეორე "მიმწოდებელთან"

9.4 ხელშეკრულების დადების საფუძველია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1] " ქვეპუნქტი. (5000 ლარამდე შესყიდვა).

## 10. უფლებების გადაცემა

10.1 "მიმწოდებელმა" "შემსყიდველის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

**შემსყიდველის მხრიდან:**

ს.ს.ი.პ. „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური"–ს

დირექტორი: **რევაზ ბაბილუა**

LEPL State Hydrographic Service of Georgia

Digitally signed by LEPL State Hydrographic Service of Georgia
Date: 2019.08.20 15:16:46 +04'00'

**მიმწოდებლის მხრიდან:**

შ.პ.ს. "VEVE" -ს

დირექტორი: **ლაშა კილასონია**